



კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციის მმართველი საბჭოს მუშაობის რეგლამენტი

„კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციის“ მმართველი საბჭოს მუშაობის რეგლამენტი კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციის წესდების საფუძველზე განსაზღვრავს მმართველი საბჭოს მუშაობის წესს.

მუხლი 1. მმართველი საბჭო

- 1.1. მმართველი საბჭო არის ასოციაციის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც მართავს ასოციაციას კონფერენციებს შორის პერიოდში.
- 1.2. ასოციაციის მმართველი საბჭოს წევრები არიან: ასოციაციის დამფუძნებლები, ასოციაციის მოქმედი პრეზიდენტი, ასოციაციის მოქმედი ვიცე-პრეზიდენტები, ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი და სხვა წევრები.
- 1.3. ასოციაციის მმართველი საბჭოს წევრებს ამტკიცებს ასოციაციის კონფერენცია ან თავად მმართველი საბჭო.
- 1.4. მმართველი საბჭოს წევრად პიროვნება შეიძლება არჩეულ იქნას რამდენჯერმე.

მუხლი 2. მმართველი საბჭოს უფლება-მოვალეობები

მმართველი საბჭო:

- 2.1. ამტკიცებს ასოციაციის მისიას, საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, გეგმებს, მიზნობრივ პროგრამებს/პროექტებს.
- 2.2. ზედამხედველობს და კონტროლს უწევს კონფერენციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას.
- 2.3. ქმნის სამუშაო ჯგუფებს და ამტკიცებს/ათავისუფლებს მათ კოორდინატორებს.
- 2.4. ისმენს მმართველი საბჭოს მიერ არჩეულ და დამტკიცებულ პირთა ანგარიშებს, მათ

შორის საზღვარგარეთ მივლინებების შესახებ, ასოციაციის ქვემდებარე სტრუქტურების ანგარიშებს.

2.5. განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას ასოციაციაში გაწევრიანების, გასვლის, გარიცხვის, ან წევრობის შეჩერების შესახებ.

2.6. განიხილავს ასოციაციის უძრავი ქონების შეძენის, გასხვისებისა და ვალდებულებებით დატვირთვის საკითხებს.

2.7. ყოველწლიური ბიუჯეტის დამტკიცებისას, განიხილავს ასოციაციის საწევრო შენატანის დადგენილი ოდენობის კორექტირების შესაძლებლობას.

2.8. ამტკიცებს ასოციაციასთან არსებული სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობას და ასოციაციასთან შექმნილი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს.

მუხლი 3. მმართველი საბჭოს მუშაობის წესი

3.1. მმართველი საბჭოს საქმიანობას ხელმძღვანელობს მმართველი საბჭოს თავმჯდომარე (ასოციაციის პრეზიდენტი).

3.2. მმართველი საბჭოს სხდომები არის საჯარო.

3.3. მმართველი საბჭოს სხდომა შეიძლება დახურულად გამოცხადდეს პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის ინიციატივით.

3.4. დახურულ სხდომაზე დასწრების უფლებით სარგებლობს მხოლოდ მმართველი საბჭოს წევრები.

3.5. მმართველი საბჭოს სხდომებში გადამწყვეტი ხმის უფლებით სარგებლობს მმართველი საბჭოს წევრები.

3.6. ასოციაციის წევრებს უფლება აქვთ საბჭოს სხდომაზე დაესწრონ სათათბირო ხმის უფლებით.

3.7. მმართველი საბჭო საქმიანობას ახორციელებს სხდომების მეშვეობით.

3.8. მმართველი საბჭოს სხდომები ტარდება 2 (ორ) თვეში ერთხელ მაინც. ასევე საჭიროების შემთხვევაში მმართველი საბჭოს სხდომას იწვევს პრეზიდენტი საკუთარი ინიციატივით, ან სხდომა მოიწვევა მმართველი საბჭოს წევრთა სულ ცოტა ერთი მესამედის მოთხოვნით.

3.9. მმართველი საბჭოს წევრებს სხდომის ჩატარების შესახებ ინფორმაცია უნდა ეცნობოთ წერილობით (ელექტრონული ფოსტის მეშვეობით), 3 (სამი) კალენდარული დღით ადრე.

3.10.მმართველი საბჭო უფლებამოსილია, თუ მის მუშაობაში მონაწილეობს მმართველი საბჭოს წევრთა ორი მესამედი მაინც.

3.11.მმართველი საბჭოს სხდომას ხელმძღვანელობს მმართველი საბჭოს თავმჯდომარე (ასოციაციის პრეზიდენტი), ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი.

3.12.მმართველი საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრის გზით, გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების ორი მესამედით (გარდა 3.16 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა), რაც ფორმდება შესაბამისი ოქმის სახით.

3.13.სხდომაზე განსახილველი საკითხები დგინდება წინასწარ, აღმასრულებელი დირექტორის მიერ პრეზიდენტთან შეთანხმებით (გარდა რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგისა). დღის წესრიგში მოცემულ საკითხებთან ერთად მიეთითება მომხსენებელი.

3.14.სხდომაზე განსახილველი საკითხები განიხილება დღის წესრიგის მიხედვით.

3.15.ინფორმაცია მმართველი საბჭოს სხდომის ჩატარების შესახებ ქვეყნდება ასოციაციის ვებ-გვერდზე სხდომის ჩატარებამდე 2 (ორი) დღით ადრე.

3.16.მმართველი საბჭო უფლებამოსილია სხდომის მიმდინარეობის პროცედურულ საკითხებზე გადაწყვეტილებები მიიღოს ღია კენჭისყრით დამსწრეთა უმრავლესობით.

3.17.მმართველი საბჭოს სხდომების დაოქმების უწყვეტობას უზრუნველყოფს ასოციაციის ადმინისტრაციის უფროსი. ოქმს თან ერთვის ყველა ის მასალა, რაც ამ სხდომის დღის წესრიგის მიხედვით განხილვის საგანს უკავშირდება.

3.18.ოქმის ნამდვილობას ხელმოწერით ადასტურებენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

3.19.მმართველი საბჭო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ყველა იმ საკითხზე, რომელიც მის კომპეტენციას განეკუთვნება.

3.20.მმართველი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.21.მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე ყოველკვარტალურ ინფორმაციას სხდომაზე წარადგენს ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი.

3.22.ასოციაციის პრეზიდენტი საჭიროებიდან გამომდინარე, მისი შეხედულებისამებრ, მმართველი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გამოსცემს შესაბამის ბრძანებას.

3.23.მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებები საჯაროა და ქვეყნდება ასოციაციის ვებ-გვერდზე.

მუხლი 4. რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ასოციაციის კონფერენციის მიერ მმართველი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების პროცედურის შესაბამისად.